შპს „ქილუქი“

საინჟინრო – გეოლოგიური დასკვნა

ქალაქი თბილისი, პეტრე ქათარაძეს ქუჩა #20ა

შპს „ბიჩ ბილდინგ ქავთარაძე“-ს

კუთვნილი მიწის ნაკვეთის

(საკ.კოდი 01.14.03.040.544)

საინჟინრო გეოლოგიური პირობები

დირექტორი: ე.გოგმაჩაძე



ინჟ.გეოლოგი: ზ.ნაზღაიძე

თბილისი
2023 წ

სარჩევი :

1. ტექნიკური დავალება -----3

2. მიწერილობა ----4

3. საერთო ნაწილი, შესავალი ---- 5

4. ზოგადი ნაწილი -----6

5. სამშენებლო კლიმატოლოგია ----7

6. სპეციალური ნაწილი ---- 9

7. დასკვნები და რეკომენდაციები ---- 15

8. გამოყენებული ლიტერატურა – 19

ა) გრუნტების კვლევის შედეგები

ბ) წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

გრაფიკული ნაწილი

1. ჭაბურღილების განლაგების გეგმა

2. ლითოლოგიური ჭრილები;

3. საინჟინრო გეოლოგიური ჭრილები .

შპს ” ქიუ ენჯინერინგი ”

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად შენობა ნაგებობისთვის

ქ. თბილისი 2023 წელი 15,05,2023

შენობის მისამართი -	ქ. თბილისი , საბურთალოს რაიონ , ქავთარაძის ქუჩა, ს.კ 01.14. 03.040.544
მშენებლობის პერიოდი -	2023-2026

საპროექტო შენობის დახასიათება

1. შენობის დანიშნულება -	საცხოვრებელი კომპლექსი შედგება 2 იდენტური შენობისაგან
2. შენობის პასუხისმებლობის დონე -	II კლასი (თანახმად ГОСТ Р 54257-2010)
3. შენობის უდიდესი გაბარიტული ზომა -	სხვადასხვა გაბარიტული ზომებით.
4. სართლების რაოდენობა და შენობის სიმაღლე -	შენობების სართულიანობა 25 მიწის ზემოთ.
5. სარდაფის არსებობა, და ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან -	შენობებს არ გააჩნია მიწიქვეშა სართულები
6. შენობის ძირითადი კონსტრუქცია -	ჩარჩო კავშირებიანი სისტემა სიხისტის ბირთვებით.
7. შენობის შევსება -	წვრილი სამშენებლო ბლოკები
8. სავარაუდო ფუნდამენტის ტიპი -	რკინაბეტონის დგარი ხიმინჯები 1500 მმ ია დიამეტრით . (ნაკლებად გამოფიტულ ქანებში შეჭრით და მასში ჩაანკერებით.)
9. ქვაბულის სავარაუდო კონსტუქცია -	დახრილი ან ვერტიკალურად ჩაჭრილი ფერდები
10 . დატვითვები -	ხიმინჯებზე დაფუძნების შემთხვევაში მაქსიმალური დატვირთვა ხიმინჯზე 1500 ტონამდე .
11. შენობის 0,00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული -	დასაზუსტება არქიტექტურის მიხედვით (დაახლოებით 480,00 ნიშნული)
12. საძირკვლის მაქსიმალური დასაშვები ჯდენა -	50 მმ სრული, 0,002L ფარდობითი (თანახმად ᲡᲜ 02.01-08)
13. ნორმატული დოკუმენტები	ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫСКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА СНиП1.02.07-87 ან მისი შესაბამისი სხვა ქვეყნის

	ნორმატული დოკუმენტი, მაგალითად **BS 1377 და BS 5930 ან** СП 11-105-97
14. შენიშვნა	შენობაზე ერთი ჭაბურღილი აუცილებლად უნდა ჩაცდეს ხიმინჯის ძირს მინ 5 მეტრით.

შპს „ქიუ ენჯინერინგი“

დირექტორი / მთ. ინჟინერი დ. ქევანიშვილი

თბილისი 15.05.2023

მიწერილობა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს 1.19 პუნქტის მეორე შენიშვნის და 1.22 პუნქტის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85-ის (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების საფუძველზე/

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1.საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;

2.გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;

3.საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;

4.საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება
2. საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;
3. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;
4. 10 ჭაბურღილის გაყვანა, ძირითადი ქანების ნაკლებად გამოფიტული ზონის დაფიქსირებით
5. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ელება;
6. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;
7. კამერალური სამუშაოების ჩატარება;
8. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

1. საერთო ნაწილი

შესავალი

2023 წლის მაისი-ივნისში, ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძეს ქუჩა #20ა, საკ.კოდი 01.14.03.040.544, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ორი შენობის მშენებლობის საჭიროებისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, მათ შორის:

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 21-23 მაისი;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები 21-23 მაისიდან 31 მაისამდე;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 01-06 ივნისს;

კვლევის მიზანს შეადგენდა მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე რაიმე საშიში გეოლოგიური მოვლენის შეფასება.

მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთი მდებარეობს ქ.თბილისში, საბურთალოზე, განაშენიანებულ უბანში. დავალების თანახმად პროექტირდება 2 შენობა, 25 მიწისზედა სართულიანი, შენობის ტიპი კარკასული.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით დათვალიერდა საპროექტო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია. სამშენებლო უბანი ამჟამად წარმოადგენს მოსწორებულ ტერიტორიას, სადაც ვიზუალურადაც შეიმჩნევა დემონტაჟირებული ნაგებობების ნარჩენები. ნაკვეთის ბუნებრივი რელიეფი, ფართობთან შედარებით, თითქმის სწორია. მიწის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები, შენობის განთავსების საზღვრებში ტოპოგეგმის მიხედვით 478,00-479,50 მ-ის ფარგლებშია.

დამკვეთის მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალების გათვალისწინებით, პროექტის მთავარი კონსტრუქტორის მითითებულ ადგილებში უბნის საერთო საინჟინრო-გეოლოგიური და ლითოლოგიური ჭრილების დასადგენად გაყვანილი იქნა 10 ჭაბურღილი, აქედან 8 ჭაბურღილში კლდოვან ქანებში არა ნაკლებ 5,0 მეტრი ჩაღრმავებით.

გამონამუშევრების გაყვანის ადგილები UTM 38 კოორდინატთა სისტემაში მონიშნულია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპოგეგმაზე.

ჭაბურღილების ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УРБ-2А-2, მექანიკურ-სვეტური წესით, საცავი მილების გამოყენებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 220.0 მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. ნიმუშების აღების შემდეგ, როგორც ამას ნორმები მოითხოვს, სამთო განაბურღები ამოვსებული იქნა განაბურღი გრუნტით;

კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშნებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობის ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა, რომელშიც გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიში: „ქ.თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება“, გ.ჯაფარიძის „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები და მონაცემთა კამერალური დამუშავება ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

2. ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი განთავსებულია საბურთალოს და დელისის დეპრესიების გამყოფი ამაღლების ჩრდილოეთი ექსპოზიციის ფერდის დაბოლოების ნაწილში, გარდამავალს საბურთალოს დეპრესიის მოვაკებულ ნაწილში. რელიეფი ტექნოგენურია, აბსოლუტური ნიშნულები 477,00-479,00 მ-ში იცვლება.

ტექტონიკურად საკვლევი უბანი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ტექტონიკური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

განსახილველი ტექტონიკური ზონის აღმოსავლეთი დაბოლოება, რომელიც მთლიანად აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაძირვას შეესაბამება, დანაოჭების შესუსტებით ხასიათდება, რაც სუსტად შეკუმშული, შედარებით დამრეცი ნაოჭების განვითარებაში გამოიხატება. საკვლევ რაიონში გამოიყოფა ლისის ანტიკლინი.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით თბილისის ეს რაიონი განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან0კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლის ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის

გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. მიწისქვეშა წყლები ინფილტრაციული ხასიათის არის. მისი კვების არეს მთის ფერდობები წარმოადგენს, ხოლო განტვირთვის არე დელისის დეპრესიაა.

სეისმურობა

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-12/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი,

სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში - 0.17;

სამშენებლო კლიმატოლოგია

დაპროექტების ნორმების სნ. და წ. 01.05-08-„სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III გ ქვერაიონს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1743;25.08.2008;

კლიმატური თვალსაზრისით, ქალაქი თბილისი შედის ქვემო ქართლის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. საერთო კლიმატური პირობებით ჰავა ზომიერად კონტინენტალურია. ჰაერის მოძრაობის მიხედვით ნათლადაა გამოკვეთილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულება, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი მეზორელიეფის განვითარების გამო. ქარების სიჩქარე ქალაქის ფარგლებში მნიშვნელოვნად ცვალებადობს. მაქსიმალური სიჩქარეები შეინიშნება მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე წყნარი თვეები ამ მხრივ ნოემბერი და დეკემბერია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აღწევს 5.8 მ/წმ. ძლიერ ქარიანი საშუალოდ 58 დღეა (15მ/წმ).

ქ. თბილისში საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 10-12.50-მდე. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3^0C. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია - 23^0C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24^0C. აბსოლუტური მაქსიმუმია 40^0C.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 65%-მდეა.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 89. ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ-ა.

თოვლის საფარი სპორადულ ხასიათს ატარებს და მცირე ხნით ხასიათდება. ის შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე და ყოველ წელს არ მოდის. თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიდიდემ შეიძლება 30-40 სმ-ს მიაღწიოს, ხოლო უმთავრესად 10 სმ-ს არ აჭარბებს.

კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა +12,4°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წლიანი განმეორებადობით – 37 მ/წმ;

– გაბატონებული ქარების მიმართულება– ჩრდილო-დასავლეთის;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,85 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

სამშენებლო უბნის კლიმატის ელემენტები დახასიათებულია ქ.თბილისის (სამშენებლო-კლიმატური რაიონების III გ ქვერაიონი) მეტეოსადგურების მონაცემებით.

3. სპეციალური ნაწილი

3.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

სამშენებლო უბნის და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების კვალი არ აღინიშნება. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევი მოედნის გეოლოგიური ჭრილი დაძიებულ სიღრმემდე გამოიყურება შემდეგნაირად:

ფენა 1 - ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი;

ფენა 2 - თიხა მუქი ყავისფერი, ძნელპლასტიკური,

ფენა 3 - თიხა ყავისფერი, მყარი

ფენა 4 - თიხნარი მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური

ფენა 5 - თიხნარი ყავისფერი, მყარი

ფენა 6 - ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (P_2^3);

ფენა 7 - ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები (P_2^3);

ქვემოთ მოცემულია ამ ფენების დახასიათება:

3.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა-1 – ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი, წარმოდგენილი თიხნარის მასით, დემონტაჟირებული შენობების და მათი საძირკვლების ნარჩენების და სამშენებლო ინერტული მასალების ჩანართებით. არაერთგვაროვანი და შეუკავშირებული. ფენა მძლავრია, ფენა არ დასინჯულა, რადგან ის მშენებლობის დროს მოიხსნება;

ფენის სიმძლავრე -0,00-მ-დან -2,00—6,00 მ-მდეა. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 2 - **თიხა**, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, თიხა მუქი ყავისფერი, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის სხვადასხვა სისქის შუასრეებით და ლინზებით, ტენიანი, არა კარბონატული.

ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომლებიც მოცემულია ქვემოთ, #1 ცხრილში

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
					ფენა 2	ფენა 2
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	ერთ.ნაწ	17,19-20,20	**18,33**
2	ტენიანობა		**W**	%	25,3-26,3	**25,8**
3	სიმკვრივე	გრუნტის	**ρ**	გ/სმ³	1,81-1,89	**1,86**
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,43-1,50	**1,47**
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71-2,72	**2,72**
4	ფორიანობა		**n**	-	44,52-47,31	**44,82**

5	ფორიანობის კოეფიციენტი	**e**	–	0,802-0,898	**0,834**
6	დენადობის მაჩვენებელი	**I_L**	–	0,32-0,44	**0,35**
7	ტენიანობის ხარისხი	**S_r**	–	0,80-0,87	**0,84**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	**W_L**	ერთ.ნაწ	36,87-37,98	**37,64**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	**W_p**	ერთ.ნაწ	17,28-20,11	**19,27**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხას, რადგან **I_L** = 0,35 და **I_p** = 18,33. ტენიანობის ხარისხის მიხედვით გრუნტი ხასიათდება სრული წყალგაჯერებულობით S_r = 0,84 და S_r > 0.80;

მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #2-ში:

№№	**გრუნტის მახასიათებლები**	**საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები**
		(ფენა 2)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1.86
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	43 (0.43)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	16^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)**	**11 (110)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)**	**250 (2.5)**
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	3,0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42

დაფიქსირდა #1, #2, #3, #4, #5, #6 და #7 ჭაბურღილებში.

ფენის სიმძლავრე: 3,0—5,0 მეტრი. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

ეს ფენა 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ფუძის გრუნტად არ განიხილება;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 1.**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 3 - **თიხა,** დელუვიური (dQIV) წარმოშობის, ყავისფერი, მყარი, ქვიშის და თიხაქვიშის სქელი შუაშრეებით და ლინზებით, წვრილ ხრეშის 10%-მდე ჩანართებით, საშუალოდ კარბონატული.

ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომლებიც მოცემულია ქვემოთ, #3-ში.

№№	**ფიზიკური მახასიათებლები**		**განზ.**	**მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი**	**საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა**
				ფენა 3	**ფენა 3**
1	პლასტიკურობის რიცხვი	**I_p**	ერთ.ნაწ	17,71-18,27	**17,99**
2	ტენიანობა	**W**	%	18,2-18,4	**18,3**

3	სიმკვრივე	გრუნტის	**ρ**	გ/სმ³	1,84-1,85	**1,85**
		მშრალი გრუნტის	**ρd**		1,54-1,56	**1,55**
		გრუნტის ნაწილა-კების	**ρs**		2,71-2,72	**2,72**
4	ფორიანობა		**n**	-	42,43-42,51	**42,47**
5	ფორიანობის კოეფიციენტი		**e**	–	0,739-0,741	**0,740**
6	დენადობის მაჩვენებელი		**I_L**	–	-0,05-0,09	**-0,07**
7	ტენიანობის ხარისხი		**S_r**	–	0,67-0,69	**0,68**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე		**W_L**	ერთ.ნაწ	37,55-37,78	**37,65**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე		**W_p**	ერთ.ნაწ	19,48-19,84	**19,66**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის თიხებს , რადგან I_L = -0,07 და I_p=17,99. ტენიანობის ხარისხის მიხედვით გრუნტი ნაწილობრივ წყალგაჯერებულია, S_r = 0,68 და S_r < 0.80;

მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #4-ში:

№№	**გრუნტის მახასიათებლები**	**საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები**
		(ფენა 3)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	1,85
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ²)	58 (0.58)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	19,5⁰
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)**	**23 (230)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)**	**300 (3,0)**
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ³	3,0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42

დაფიქსირდა #1, #2, #3, #4, #5 ჭაბურღილებში.

ფენის სიმძლავრე: 4,0—7,0 მეტრი. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

ეს ფენა 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ფუძის გრუნტად არ განიხილება;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 2.**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 4 - **თიხნარი**, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური, წვრილი ხრეშის და ღორღის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, არა კარბონატული

ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომლებიც მოცემულია ქვემოთ, #5 ცხრილში

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
					ფენა 4	ფენა 4
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	ერთ.ნაწ	9,82-10,06	**9,94**
2	ტენიანობა		**W**	%	31,4-32,0	**31,7**
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,79-1,81	**1,80**
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,36-1,38	**1,37**
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71-2,72	**2,72**
4	ფორიანობა		**n**	-	47,43-49,92	**48,68**
5	ფორიანობის კოეფიციენტი		**e**	–	0,939-0,997	**0,969**
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,58-0,62	**0,60**
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,86-0,88	**0,87**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე		W_L	ერთ.ნაწ	35,28-35,44	**35,36**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე		W_p	ერთ.ნაწ	25,38-25,49	**25,42**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარს, რადგან I_L = 0,60 და I_p = 9,94 ტენიანობის ხარისხის მიხედვით გრუნტი ხასიათდება სრული წყალგაჯერებულობით S_r = 0,87 და S_r > 0.80;

მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #6-ში:

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		(ფენა 4)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	1,80
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ²)	13 (0.13)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	12^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)**	**5,5 (55)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)**	**1,1 (1,1)**

დაფიქსირდა #6, #7, #8 ჭაბურღილებში.

ფენის სიმძლავრე: - 5,0 მეტრი. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

ეს ფენა 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ფუძის გრუნტად არ განიხილება;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 3.**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 5 - **თიხნარი,** დელუვიური (dQIV) ყავისფერი, მყარი, კენჭის, ღორღის, ხრეშის და ხვინჭის ჩანართებით 15-25%-მდე, სუსტად ტენიანი, საშუალოდ კარბონატული

ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომლებიც მოცემულია ქვემოთ, #7-ში.

№№	ფიზიკური მახასიათებლები		განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
				ფენა 5	ფენა 5
1	პლასტიკურობის რიცხვი	I_p	ერთ.ნაწ	14,13-15,74	**14,56**
2	ტენიანობა	W	%	19,3-20,5	**19,5**
3	სიმკვრივე: გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,76-1,81	**1,79**
	მშრალი გრუნტის	ρ_d		1,48-1,52	**1,50**
	გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71-2,72	**2,72**
4	ფორიანობა	n	-	44,00-45,76	**45,15**
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	–	0,786-0,844	**0,823**
6	დენადობის მაჩვენებელი	I_L	–	-0,03-0,32	**-0,19**
7	ტენიანობის ხარისხი	S_r	–	0,62-0,67	**0,64**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ	35,46-38,41	**36,87**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_p	ერთ.ნაწ	19,72-23,84	**22,31**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის თიხნარებს , რადგან I_L = -0,19 და I_p=14,56. ტენიანობის ხარისხის მიხედვით გრუნტი ნაწილობრივ წყალგაჯერებულია, S_r = 0,64 და S_r < 0.80;

მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #8-ში:

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		(ფენა 5)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	1,79
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ²)	30 (0.30)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	24^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)**	**22 (220)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)**	**250 (2.5)**
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ³	3,0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.35

დაფიქსირდა #4 , #5, #6, #7, #8 ჭაბურღილებში;

ფენის სიმძლავრე: 1,00-მ-დან 5,00-მ-მდე. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

ეს ფენა 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ფუძის გრუნტად არ განიხილება;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 4.**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 6 - წარმოდგენილი არის ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალიანი არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ნაპრალები შევსებულია გამოფიტვის მასალებით. კერნი ამოდის დაშლილი სახით და ნიმუშის აღება ვერ ხერხდება. ფენა ფუძის გრუნტად არ განიხილება, ამიტომ მათი სიმტკიცის დასადგენად გამოყენებულია ლიტერატურული მასალა. (ძირითადად გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები).

გრუნტის სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	2,00
საანგარიშო პირობითი წინაღობა	R_0	კგ/სმ2	3,0
დეფორმაციის მოდული	E	კგ/სმ2	300,0

დაფიქსირდა ყველა ჭაბურღილში სხვადასხვა სიმძლავრით. (მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე);

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-5;**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 7 - წარმოდგენილი არის ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ნაკლებად გამოფიტული სუბარგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, მოლურჯო, წვრილმარცვლოვანი. არგილიტები ქვიშაქვების ფენებს შორის თხელი შუა შრეების სახით არიან გავრცელებული. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტებიც და ქვიშაქვებიც ხდებიან უფრო მკვრივი, უფრო მდგრადი, ამიტომ ფენა განიხილება მთლიანი და მასიური.

ძირითადი ქანების სიმტკიცის განსასაზღვრავად ჩატარებულია მათი გამოცდა სიმტკიცის ზღვარზე ერთღერძა კუმშვაზე,

ფენა დასინჯულია ქვიშაქვის ექვსი ნიმუშით. შედეგების საშუალო მნიშვნელობა მოცემულია ცხრ. №9-ში.

ქანის სახეობა	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, **K**	დრეკადობის (იუნგის) მოდული წყალნაჯერ მდგომარეობაში, მეგპა**E**	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი **φ**	შეჭიდულობა, მეგპა **C**	სიმკვრივე, გ/სმ³ **ρ**
	გამომშრალ მდგომარეობაში, **Rd**	წყალნაჯერ მდგომარეობაში, **Rw**					
საშუალო	**19,7**	**13,2**	**0,63**	**3105,35**	**24,2**	**3,7**	**2,37**

როგორც შედეგებიდან ჩანს, დარბილების კოეფიციენტი ყველა ნიმუშზე ნაკლებია 0,75-ზე, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი ქანები მიეკუთნებიან დარბილებად გრუნტებს.

6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	100
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,20

R_k-საშუალო წყალგაჯერებულ მდგომარეობაში = 132,0 კგძ/სმ^2;

ვინაიდან ლაბორატორიული გამოცდები სრულდება მცირე ზომის ნიმუშებზე, რაც ხშირ შემთხვევაში არ ასახავს რეალურ სურათს (ტექსტურულ-სტრუქტურულ თავისებურებები, შრეობრივობა, შრეების დახრა, შესუსტებული ფარული ზონები), ამიტომ მთლიანი მასივისთვის შეიძლება რეკომენდებული იქნეს

R_k = 130.0 კგძ/სმ^2 = 13,0 მპა;

– საშუალო სიმკვრივე **ρ=2.37** გ/სმ^2;

ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტი ჩდ -340-350^0, ხოლო დახრის კუთხე 30-35^0.

სახსტანდარტი 25100-82-ის მიხედვით, გრუნტი მიეკუთვნება მცირე სიმტკიცის კლდოვან ქანებს;

ფენის სიმძლავრე: რამდენიმე ათეული მეტრი (თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობის ფონდური მასალები)

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-6;**

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, აღვმიშნავთ, რომ სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე მოედნის გეოლოგიური პირობების შესახებ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები

- გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი განთავსებულია საბურთალოს და დელისის დეპრესიების გამყოფი ამაღლების ჩრდილოეთი ექსპოზიციის ფერდის დაბოლოების ნაწილში,
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეოლოგიური საფრთხეების განვითარების დაბალი რისკის ზონაში. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია და მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, სუფოზია და სხვა) განვითარებული არ არის.

- მოედნის გეოლოგიური ჭრილში გამოყოფილია გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 - ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი;

ფენა 2 - სგე 1 - თიხა მუქი ყავისფერი, ძნელპლასტიკური,

ფენა 3 - სგე 2 - თიხა ყავისფერი, მყარი

ფენა 4 - სგე 3 - თიხნარი მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური

ფენა 5 - სგე 4 - თიხნარი ყავისფერი, მყარი

ფენა 6 - სგე 5 - ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (P_2^3);

ფენა 7 - სგე 6 - ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები (P_2^3);

- საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი რაიონი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით, გრუნტის წყლების დიდი რაოდენობის და მაღალი დონის გამო, ფუძეში სეისმურად III კატეგორიის (რბილპლასტიკური) გრუნტების არსებობის გამო და 6 სგე - ს არსებობის გამო მიეკუთვნება III (რთული) კატეგორიას;

- საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე გაოიყო 6 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - სგე (ნაყარი გრუნტი მხედველობაში არ მიიღება).

სგე - ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ.7-ში.

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები					
		სგე 1	სგე 2	სგე 3	სგე 4	სგე 5	სგე 6
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1.86	1,85	1,80	1,79	2,00	2,37
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	43 (0.43)	58 (0.58)	13 (0.13)	30 (0.30)	-	-
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	16^0	19,5^0	12^0	24^0	-	-
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)	11 (110)	23 (230)	5,5 (55)	22 (220)	30,0 (300)	-
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	250 (2.5)	300 (3,0)	1,1 (1,1)	250 (2,5)	300 (3,0)	-
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc კპა (კგ/სმ^2)	-	-	-	-	-	1300,0 (13,00)
7	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ3	3,0	3,0	2,0	3,0	5,0	100
8	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42	0,42	0.35	0.35	0,27	0,20
9	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი, f	-	-	0,25	0,45	0,50	0.75

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშნებლო მოედანზე გამოყოფილი 6 სგე - დან პირველიდან მეხუთე სგე -ს ჩათვლით, ყველა სგე - ს სიმტკიცის და დეფორმაციის დაბალი მახასიათებლები აქვთ, ამიტომ მათი გამოყენება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-გრუნტად რეკომენდირებული არ არის.

ფუძე გრუნტად რეკომენდირებულია სგე 6 -ის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს კლდოვან ქანს - მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის სუსტად გამოფიტულ ქვიშაქვებს. საძირკველის ტიპი - ბურღვით-ნატენი დგარი ხიმინჯები.

ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტი ჩდ -340-350⁰, ხოლო დახრის კუთხე 30-35⁰.

- ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გასაბურღი ჭაბურღილების, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, აიღება სნ და წ IV–2–82 ს.ნ. და წ. მე–4 კრებულის 5 და 6 ცხრილებიდან;

- **ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ,** აღვმიშნავთ, რომ სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში. წყლის გამოვლინება დაფიქსირდა რელიეფის მიხედვით სხვადასხვა დონეზე, მიწის ზედაპირიდან -2,50-2,70 - მ-ში ჭაბურღილებში ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხოლო -4,20-4,50 - მ-ში ჭაბურღილებში ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამგვარად აღვნიშნავთ, რომ ნაკადის მიმართულება აღმოსავლეთისკენაა.

- საანალიზოდ გადმოცემულ სინჯებში სიღრმის მატებასთან ერთად საერთო მინერალიზაციის სიდიდე კლებულობს, კერძოდ, ჭაბურღილ 3-იდან აღებულ სინჯში საერთო მინერალიზაციის სიდიდე 1.69 გ/ლ ტოლია, რომლის მიხედვითაც მომლაშო წყლების კატეგორიას მიეკუთვნება. ჭაბურღილ 4 და 8-იდან აღებბულ სინჯებში ეს სიდიდე 0.90 გ/ლ ტოლია და მტკნარი წყლების კატეგორიას მიეკუთვნება. ქიმიური შედგენილობით სამივე სინჯი თითქმის იდენტურია და მიეკუთვნებიან სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან ტიპს, თუმცა, ჭაბურღილ 8-იდან აღებულ სინჯში მაგნიუმის შემცველობა ოდნავ აღემატება დანარცენებს. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (PH=6,90)

- აზოტოვანი გამაჭუჭყიანებელი ნაერთებიდან ჭაბურღილ 3-იდან აღებული სინჯი შეიცავს ამონიუმის იონს, ნიტრიტ და ნიტრატ იონებს.

- სულფატების შემცველობის მხრივ ჭაბურღილ 3-იდან აღებული სინჯი „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტის მარკის ბეტონის მიმართ W 4 და W 6 წყალშეღწევადობისას. ხოლო ჭაბურღილ 4-იდან და 8-იდან აღებული სინჯები არ ავლენენ აგრესიულობას არცერთი მარკის ბეტონის მიმართ, თუმცა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც ‘‘არა’’, ხოლო პერიოდული დასველებით – ‘‘სუსტი’’. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც ‘‘საშუალო’’,

- ქვაბულის მოწყობის დროს, სადრენაჟე და წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისთვის, გათვალისწინებული იყოს სნ და წ. 3.02.01-87 თავი 2-ის მოთხოვნები.

- ქ.თბილისი და მისი შემოგარენი საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 01.01.09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას. საკვლევ უბანსაც ვაკუთვნებთ 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას. იგივე ნორმებით, სეისმური თვისებებით საკვლევი გრუნტები მიეკუთვნება:
  - ნაყარი გრუნტი (ფენა 1) და რბილპლასტიკური თიხნარი (ფენა 4) – III კატეგორია;
  - დანარჩენი გრუნტები – II კატეგორია;

- ქვაბულის, ორმოების და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნების მიხედვით,

ძირითადი ქანებისთვის – 70^0.

დანარჩენი გრუნტებისთვის

გრუნტის დასახელება	ფერდობის ციცაბო (მისი სიმაღლის შეფარდება და დასაწყისში) გათხრების სიღრმეზე, მ, მეტი აღარ		
	1.5 მეტრი	3,0 მეტრი	5,0 მეტრი
ნაყარი არაკონსოლიდირებული	1:0,67	1:1	1:1,25
ქვიშა და ხრეში	1:0,5	1:1	1:1
ქვიშიანი თიხნარი	1:0,25	1:0,67	1:0,85
თიხა	1:00	1:0,25	1:0,5

- **შენიშვნა:** 5 მეტრზე ღრმა ქვაბულის ამოღებისას ან ფერდობის (სამხრეთ ნაწილში) მოჭრის შმთხვევაში, უნდა შემუშავდეს ფერდოების გამაგრების პროექტი მთელ პერიმეტრზე (ხიმინჯები, შპუნტები, მთლიანი ნარანდი);

- დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82; I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

- ა) ნაყარი გრუნტი, (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ.#24ა);

- ბ) თიხა (ფენა 2 და 3) - ყველა სახის დამუშავებისას - III ჯგუფს (სნ და წ IV-2-82; რიგ. 33გ).

- გ) თიხნარი (ფენა 4) – სამივე სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1940 კგ/მ3 (რიგ. №33ბ).

- დ) თიხნარი (ფენა 5) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას დამუშავებისას – III ჯგუფს, ბულდოზერით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1880 კგ/მ3 (რიგ. №6ბ).

- ე) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - V ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ3 (რიგ. #3ა);

- ვ) ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული (ფენა 6) - ხელით დამუშავებისას - VI ჯგუფს, სიმკვრივით 2200 კგ/მ3 (რიგ. #3ბ);

- სამშენებლო სამუშაოებისას, მიწისქვეშა წყლების გამოვლენისას, ჩაღრმავებების ან მათი ფსკერის მახლობლად უნდა ჩაითვალოს სველი არა მხოლოდ გრუნტი, რომელიც მდებარეობს მიწისქვეშა წყლის დონის ქვემოთ, ასევე გრუნტი, რომელიც მდებარეობს ამ დონეზე ზემოთ. ასეთ შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული:

  - <u>1.0 მ ზემოთ - თიხნარების და თიხების შემთხვევაში;</u>

- კლიმატის საპროექტო მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობებია (თბილისი, საბურთალო): (მაღლივი შენობებისთვი გათვალისწინებული იყოს ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ, ქარის გაბატონებული მიმართულება ჩრდილო-დასავლეთის.

ქარის წნევა W_0		ქარის სიჩქარე					ნალექების რაოდენობა		თოვლის დატვირთვა P_0	ჩაქინვის სიღრმე $H_ნ$	ზემპერატურის აბსოლუტ. მინიმუმი	ზემპერატურის აბსოლუტ. მაქსიმუმი
ჭ5წ	ჭ15წ	V1	V5	V10	V15	V20	საშ. წლიური	მაქს დღე/ღ				
კგ/სმ^2	კგ/სმ^2	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მმ	მმ	კგძ/მ^2	სმ	გრა ღ	გრა ღ
73	85	28	33	35	36	37	560	147	50	0	-23	40

ინჟინერ-გეოლოგი: / *ზ.ნა ზღაიძე*/

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია". საქართველოს ეკ. განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
2. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
3 . პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სესმომედეგი მშენებლობა".

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.

4. დ.ჩხეიძე – საინჟინრო გეოლოგია – გამომცემლობა “განათლება”; 1979
5. ე.გამყრელიძე – სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები – გამომცემლობა “განათლება”; 1979
6. ნ.ფოფორაძე – საქართველოს მინერალები და ქანები – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2012;
7. გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

შპს წყალი და გრუნტი
ს/კ 436046574
ტელ.: +995 75 48 92
ელ-ფ: infowaterandsoil@gmail.com

WATER AND SOIL LLC
I/C 436046574
TEL.: +995 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com

თბილისი
31.05.2023

ლაბორატორიული კვლევის შედეგები
ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ.#20ა

ნიმუშის აღების თარიღი
21.05.2023 - 23.05.2023

#	ჭაბ. №	ნიმუშის №	სიღრმე, მ	ნიმუშის ტიპი: მ-მონოლითი; დ-დაშლილი	ბუნებრივი ტენიანობა W, %	ფიზიკური თვისებები										
						პლასტიკურობა			სიმკვრივე, გ/სმ³			ფორიანობა, n %	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, Wsat %	ტენიანობის ხარისხი, S_r	დენადობის მაჩვენებელი, I_L
						დენადობის ზღვარი W_L %	პლასტიკურობის ზღვარი W_p %	პლასტიკურობის რიცხვი I_p	მინერალური ნაწილის, ρ_s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
თიხა მუქი ყავისფერი, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის სხვადასხვა სისქის შუასრეებით და ლინზებით, ტენიანი, არა კარბონატული																
1	1	1.1	6.0	მ	25.9	37.88	20.02	17.71	2.71	1.88	1.49	44.90	0.815	30.07	0.86	0.33
2	3	3.1	7.0	მ	25.3	36.87	19.68	17.19	2.72	1.87	1.49	45.13	0.823	30.24	0.84	0.33
3	6	6.2	14.0	მ	25.7	37.82	20.11	17.71	2.71	1.89	1.50	44.52	0.802	29.61	0.87	0.32
4	7	7.2	15.0	მ	26.3	37.98	17.28	20.70	2.72	1.81	1.43	47.31	0.898	33.01	0.80	0.44
საშუალო					**25.8**	**37.64**	**19.27**	**18.33**	**2.72**	**1.86**	**1.47**	**44.82**	**0.834**	**30.73**	**0.84**	**0.35**
თიხა ყავისფერი, მყარი, ქვიშის და თიხაქვიშის სქელი შუაშრეებით და ლინზებით, წვრილ ხრეშის 10%-მდე ჩანართებით, საშუალოდ კარბონატული																
5	1	1.2	10.0	მ	18.4	37.78	19.80	17.98	2.72	1.85	1.55	42.51	0.739	27.19	0.67	-0.08
6	2	2.1	11.0	მ	18.2	37.75	19.48	18.27	2.71	1.84	1.54	42.43	0.741	27.12	0.69	-0.05
7	3	3.2	12.0	მ	18.3	37.55	19.84	17.71	2.72	1.85	1.56	42.50	0.739	27.18	0.67	-0.09
საშუალო					**18.3**	**37.65**	**19.66**	**17.99**	**2.72**	**1.85**	**1.55**	**42.47**	**0.740**	**27.15**	**0.68**	**-0.07**
თიხნარი მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური, წვრილი ხრეშის და ღორღის 10-15%-მდე ჩანართებით, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, არა კარბონატული																
8	6	6.1	7.0	მ	31.7	35.36	25.49	9.87	2.72	1.81	1.38	48.51	0.939	37.18	0.87	0.62
9	7	7.1	8.0	მ	32.0	35.44	25.38	10.06	2.71	1.80	1.37	47.43	0.941	37.12	0.88	0.58
10	8	8.1	7.0	მ	31.4	35.28	25.46	9.82	2.72	1.79	1.36	49.92	0.997	36.64	0.86	0.60
საშუალო					**31.7**	**35.36**	**25.42**	**9.94**	**2.72**	**1.80**	**1.37**	**48.68**	**0.969**	**36.88**	**0.87**	**0.60**
თიხნარი ყავისფერი, მყარი, კენჭის, ღორღის, ხრეშის და ხვინჭის ჩანართებით 15-25%-მდე, სუსტად ტენიანი, საშუალოდ კარბონატული																
11	4	4.1	13.0	მ	20.5	38.41	23.84	14.57	2.72	1.78	1.48	45.69	0.841	30.93	0.66	-0.23
12	6	6.3	16.0	მ	18.6	36.75	22.96	13.79	2.71	1.80	1.52	44.00	0.786	28.99	0.64	-0.32
13	7	7.3	16.0	მ	19.5	36.85	22.72	14.13	2.72	1.81	1.51	44.31	0.796	29.26	0.67	-0.23
